

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N3 - ავტომატური გადახდები შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს პუნქტი N 26, პუნქტი N 27, პუნქტი N 28 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„26. კლიენტის სარგებლობაში არსებული საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის დაფარვის შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული ავტომატური გადახდის დავალებით, საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის დაფარვა განხორციელდება საკრედიტო ბარათის პირობების შესაბამისად მინიმალური გადასახადის დაანგარიშების დღეს, მიუხედავად მინიმალური გადასახადის გადახდის ვადის დადგომისა.

27. კლიენტის სარგებლობაში არსებული საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის დაფარვის შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული ავტომატური გადახდის დავალებით, განაცხადით გამსაზღვრული პრიორიტეტად მითითებული საბანკო ანგარიშიდან პირველ რიგში შესრულდება შესაბამისი საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის გადახდა და ამის შემდეგ შესრულდება სხვა აქტიური ავტომატური გადახდების დავალებები.

28. კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული ავტომატური გადახდის დავალების არსებობისას, იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული თარიღისათვის, კლიენტის სახელზე ბანკის მიმართ/სასარგებლოდ ფიქსირდება ვადაგადაცილებული/ვადამოსული დავალიანება ან/და სხვა ვალდებულება, პირველ რიგში დაიფარება ასეთი დავალიანება/ვალდებულება და მხოლოდ ამის შემდეგ შესრულდება ბანკის მხრიდან აღნიშნული ავტომატური გადახდის მომსახურება.”